



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაქრაძე ვალერიან მინას ძე



ვ. ბაქრაძე

ბაქრაძე ვალერიან მინას ძე (18. IX. 1901, სოფ. სევა, ახლანდ. ონის მუნიციპ. – 3. IV. 1971, თბილისი), კომუნისტური პარტიისა და სახელმწ. მოღვაწე.

კომპარტიის წევრი 1921-იდან. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1911 თბილ. მუს. ინსტრუმენტების ფ-კაში. 1921 –23 წითელი არმიის რიგებში იყო. 1924 აგვ-ში ბ. მონაწილეობდა მუხრანის რ-ნში მოქმედი ქ. ჩოლოყაშვილისა და ლ. ჩიქოვანის რაზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1924-30 მუშაობდა საქ. კპ მუხრანის რაიკომის მდივნად, დუშეთის სამაზრო კომიტეტის მდივნად, ცენტრ. კომიტეტის ინსტრუქტორად, კახეთის საოლქო კომიტეტის მდივნად. 1930-31 სწავლობდა საკ. კპ (ბ) ცკ-თან არსებულ მარქსიზმ-

ლენინიზმის კურსებზე. 1931-37 იყო პარტიის ცკ-ის განყ-ბის გამგე, თბილ. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს თავ-რე, საქ. კპ ცკ-ის მეორე მდივანი, 1937-47 – საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რე. შემდგომ წლებში მთელ რიგ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა საბჭ. და სამეურნეო აპარატში. II მსოფლიო ომის პერიოდში, 1942-43, იყო ამიერკავკ. ფრონტის 46-ე არმიის სამხ. საბჭოს წევრი. სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქ. სსრ ცაკის პრეზიდიუმის წევრად, კომპარტიის ამიერკავკ. სამხარეო კომიტეტის წევრად. საკ. კპ (ბ) XVIII და XIX ყრილობებზე აირჩიეს პარტიის ცკ-ის წევრობის კანდიდატად.

იყო სსრკ I – III მოწვევების და საქ. სსრ I-III მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიღებული აქვს სახელმწ., მ. შ. საბრძოლო ჯილდოები.

კ. ივანიძე
